ოქმი N 1

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2017 წლის 4 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. აკაკი ხურცილავა
5. გია წულაია
6. გოჩა ჯობავა
7. ლაშა ცატავა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 1 დეკემბრის N03/5508 წერილის განხილვა:

- შპს „ხობი დასუფთავება და განათებას" დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

აზრი გამოთქვეს: შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 1 დეკემბრის N03/5508 წერილის განხილვა:

- შპს „ხობი დასუფთავება და განათებას" დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 1 დეკემბრის N03/5508 წერილი და განაცხადა, რომ აღნიშნული წერილით წარმოდგენილია ორი პროექტი, კერძოდ:

1. განკარგულების პროექტი „შპს „ხობი დასუფთავება და განათებას" დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე", მერიის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის მერიაში მზადდება მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტი „შპს „ხობი დასუფთავება და განათებას" წესდების დამტკიცების თაობაზე", რისი წინაპირობაა საკრებულოს მიერ დამტკიცებული შპს „ხობი დასუფთავება და განათებას" დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება, კერძოდ ძალადაკარგულად ცხადდება შპს-ს წესდება.

2. დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის მიერ მტკიცდება შპს „ხობი დასუფთავება და განათებას" ახალი წესდება, რომლის მომზადების პროცესში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს-ს უფლებამოსილებას დაემატოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავება და გარე პერიმეტრის (მიმდებარე ტერიტორია, საქმიანი ეზოები და ა.შ.) მოვლა და მოწესრიგება.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავების ფუნქციის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული იურიდიული პირისთვის მიკუთვნების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხიდან ხორციელდება, შრომითი ხელშეკრულებით დამლაგებლებისთვის გათვალისწინებული პოზიციების ამოღება, მერიის საშტატო ნუსხიდან ასევე გამოთავისუფლდა ჭალადიდის ადმინისტრაციულ შენობაში დასაქმებული დარაჯისთვის გათვალისწინებული პოზიცია, შენობის დაცვის სასიგნალო სისტემაზე გადასვლისთვის მზადების გამო.

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი პროექტების გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7,

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნებთან ერთად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია